საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2548
11/04/2023

2548-21-2-202304111641

შპს „ჯეუ გრუპის“ დირექტორს
ქალბატონ ნინო კიკაბიძეს
მის: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი,
შენობა №1, VI სართული
ელ.ფოსტა: khuntsaria@jeugroup.ge

ასლი: სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ქალბატონო ნინო,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N2702 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შპს „ჯეუ გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ:

- საპროექტო ტერიტორია (ს/კ 01.19.18.007.016) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ვინაიდან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება უტარდება იმ საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, მიწის ნაკვეთზე

(ს/კ 01.19.18.007.016) ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით ცვლილების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშის თავში 5.13. (კუმულაციური ზემოქმედება) განხილულია არ არის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება შესაბამისი გაანგარიშებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- N28 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, **ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა.** დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვასთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ 5.2.2. ქვეთავში აღნიშნულია, რომ საწარმოში ფუნქციონირებს ლითონის სამი, 50 ტონა, 50 ტონა და 45 ტონა მოცულობის მიწისზედა ვერტიკალური ბიტუმის რეზერვუარი და 160 ტ მოცულობის მიწისქვეშა ბეტონის რეზერვუარი, თუმცა 5.4.3. ქვეთავში მოცემულ შემარბილებელ ღონისძიებებში მითითებულია, რომ საწარმოს ოპერირების ეტაპზე ბიტუმის რეზერვუარები განთავსებული იქნება სპეციალურად მოწყობილ ბეტონის საფარით აღჭურვილ ტერიტორიაზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მოწყობილია თუ არა ტერიტორიაზე ბიტუმის რეზერვუარები, ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის (გზშ-ის ანგარიში, არატექნიკური რეზიუმე, ზდგ-ს პროექტი) სხვადასხვა თავებში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი, არსებული რეალობის გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშის მონიტორინგის გეგმაში (თავი 7.1.; გვ 141) ასევე მოცემული უნდა იქნას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს პერიმეტრზე და უახლოეს მოსახლესთან (სიხშირის, მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების მითითებით);
- ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული საწარმოო ტერიტორიის ერთ-ერთი GPS კოორდინატი (წერტილი N4: 491777; 4616305) არასწორია და საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული სალექარის საორიენტაციო კოორდინატების X და Y წერტილები მოცემულია არასწორად და საჭიროებს კორექტირებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო